Forex

სემინარზე განხილული იქნება საერთაშორისო სავალუტო ბაზრის - Forex-ის ფუნქციონირება და მისი გავლენა მსოფლიო ეკონომიკის დინამიკაზე. წარმოდგენილი იქნება Forex-ის სავალუტო სისტემაში ინტეგრირების პროცესები და ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ ბაზრის სიდიდესა და ლიკვიდურობას. ასევე განხილული იქნება Forex-ის ძირითადი მექანიზმები და ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც ეფექტიანს ხდის ვაჭრობის პროცეს, დახასიათებული იქნება სავალუტო ბაზრის მონაწილეთა როლი, მათ შორის ტრეიდერებისა და საბროკერო ორგანიზაციების ფუნქციები. ყურადღება გამახვილებული იქნება ვაჭრობის ტექნიკურ და ფუნდამენტურ ანალიზზე, კაპიტალის მართვის პრინციპებზე და ბაზრის ფსიქოლოგიის გავლენაზე წარმატებული ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებაში. სემინარზე წარმოდგენილი კვლევის მიზანია გაანალიზოს Forex-ის თანამედროვე როლი მსოფლიო ფინანსურ სისტემაში, ასევე მის მიერ შექმნილი შესაძლებლობები და რისკები ინდივიდუალური და ინსტიტუციური ინვესტორებისთვის. კვლევის პროცესში ჩატარებული თეორიული და ემპირიული კვლევები, საშუალებას იძლევა მიიღოს კომპლექსური სურათი სავალუტო ბაზრის თანამედროვე ტრენდებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც აღწერს ინფორმაციული ტექნოლოგიები უშუალო კავშირს რომ Forex-ს სისტემასთან და თვალსაჩინოდ წარმოადგენს Forex-ს როგორც უმნიშვნელოვანეს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების გაადვილებას, ხოლო მისი სწორი გამოყენება საჭიროებს მაღალ პროფესიონალიზმს და ბაზრის სიღრმისეულ ცოდნას.